# საქართველო

№20 (47) | ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი | 16 მაისი, 1943 წ.


## ქართველი დედა

დიდი და განუზომელია ქალის როლი ქართველი ერის ისტორიაში. ჩვენი ერის მრავალ საუკუნოვან თავგანწირულ ბრძოლაში სამშობლოსათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, სარწმუნოების დაცვისათვის ქალს ყოველთვის ეჭირა საპატიო ადგილი. ქართველი დედა ჩვენი ეროვნული სიამაყის— ოჯახის ბურჯი იყო, რომელიც გულმხურვალედ ასრულებდა თავის სამღვთო ვალს — უზრდიდა მამულს სახელოვან შვილებს.

ჩვენი ისტორიის ფურცლებზე შარავანდედით ცისკროვნებენ საამაყო დედათა დასები, რომელთა სტიქია და გზნება ყოფილა სამშობლო. ქალმა შემოიტანა და მოაფრქვია ჩვენს პატარა ქვეყანას ქრისტიანული მოძღვრების სიკეთე, იგი ეწამა და თავი დასდო სარწმუნოებისათვის, ქალის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღორძინება,მამულიშვილურ ბრძოლებში კიაფობენ გმირი ქართველი ქალების სახეები, ბოლოს რაც მთავარია ქალი იყო ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი გამაერთიანებელი ძალა.

საისტორიო წყაროებში, განსაკუთრებით მე-8 საუკუნიდან ძვირფასი ცნობებია ქართველ ქალთა მოღვაწეობაზე, მისადმი თაყვანისცემაზე. მე-12 საუკუნეში ქალის კულტი აღწევს უმაღლესს მწვერვალს. სამეფო ტახტზე ადის დიდი თამარი და ამიერიდან იწყებს ამობრწყინებას საქართველოს ძლევამოსილების მზეც. თამარმა თავის პიროვნებაში შეაერთა საარაკო სილამაზე და ქრისტიანული მცნება, გამოაშუქა ქართველი ქალის გენიალობა, რაინდული სული, სიბრძნე, თავდადება და ქართველ ქალს სამარადჟამოდ მოუქარგა დიდების შარავანდედი, რომელიც ვერ გააქრო ჩვენი ბედის წალმა-უკუღმა ტრიალმა.

დიდი ღვაწლი დაუდევთ ქართველ ქალებს მშობელი ერისათვის. თავის საპატიო როლს ქართველი ქალი ბრწყინვალედ ასრულებდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე. ყველგან სადაც კი დაინთებოდა მამულისათვის ბრძოლის ცეცხლი ქალი იდგა მამაკაცის გვერდით; მამულის მწუხრს ზოგჯერ იგი მამაკაცზე უფრო მეტად გრძნობდა.

ქართველი დედა რაინდული სულით ზრდიდა თავის ყრმას, ასწავლიდა მამულის სიყვარულს — ეს იყო ჩვენი ეროვნული ძლიერების წყარო.

„ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!“ — ასე უმღერდა დედა შვილს... და ეს ნანა ბრძოლის ცეცხლად ამოიშლებოდა ვაჟკაცის გულში მტერთან თავგანწირული ომებისას. ეროვნულ სიამაყესა და სამშობლოს სიყვარულს ქართველი დედის გული არა ერთგზის ალუნთია შურისძიების წყურვილით. მარიამ დედოფალმა სამშობლოს ჩაგვრით აღშფოთებულმა ხანჯლით გაუპო მკერდი რუსის გენერალს ლაზარევს, დარეჯან დედოფალი მთელი თავისი ოჯახით სამკვდრო - სასიცოცხლოდ ებრძოდა რუსეთის ბატონობას, გადასახლებაში მიმავალი სულ იმაზე ფიქრობდა როგორმე შური ეძია მჩაგვრელზე, 1832 წლის შეთქმულებას რომელიც რუსეთის საქართველოდან განდევნას ისახავდა მიზნად, ქალი, თამარ ბატონიშვილი თაოსნობდა, ერეკლეს ქალმა თეკლამ მთელი ოჯახი ამსხვერპლა სამშობლოს.

ქართველ ქალს უყვარდა თავისი მამული და მის სამსხვერპლოზე მას მოჰქონდა ყველაფერი. ქალის გმირობაზე ჩვენი ისტორიიდან უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. ქართველმა ქალმა ამით დაიმსახურა ერის სიყვარული და პატივისცემა, იგი შეიქმნა სამშობლოს მშვენიერების სიმბოლოდ.

დღეს ქართველი დედა კვლავ მონობის უღელქვეშაა. ბოლშევიკურმა რეჟიმმა წაართვეს მას ყველაფერი ძვირფასი: დაუნგრიეს ოჯახი, მოაშორეს უკეთილშობილეს საქმეს შვილების აღზრდას, ლაფში ამოავლეს მისი ეროვნული თავმოყვარეობა. მაგრამ ქართველი ქალი კვლავ იბრძვის, იბრძვის უკეთესი მომავლისათვის.

ახლა როცა დღითი-დღე ძლიერდება ეროვნულ - გამანთავისუფლებელი ბრძოლა, როცა ძლევამოსილი გერმანელი ხალხის დახმარებით ქართველი ერი კვლავ იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ჩვენ გვინდა გავამხნევოთ ჩვენი დედები!..

ქართველო ქალებო! დედებო! დებო! კვლავ დაჰბადეთ პატრიოტული აღფრთოვანება, გააცოცხლეთ თქვენი წინაპრების საგმირო საქმეები, დაგვეხმარეთ მამულის განთავისუფლებაში. მალე დადგება დრო, კვლავ აღსდგება თქვენი სახელი, ისევ დაირწევიან აკვნები და დაიღუღუნებენ თავისუფლად „იავნანას“ ხმები!..

ახლა როცა გერმანელი ხალხი აღნიშნავს დედის დღეს — ჩვენი, თქვენი შვილების უკეთილშობილესი გრძნობანი მომართულია თქვენსკენ. „დედა“!.. თვითეული ჩვენგანის მკერდში შთამაგონებლად ჰქუხს ეს სიტყვა... გამაგრდით სულიერად, გულმხურვალედ ილოცეთ შვილების გამარჯვებისათვის!..



„ქართველი დედა“

ნახ. ლეგ. ი. ევგენიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ჭავჭავაძე.

# ნანა

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტავ რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალი
რისთვის მომაპყარ თვალი?
ჯერეთ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინამორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს!..
მაშ რაღამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!
ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები,
ბრძოლაზედ გაგიცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
ჰხედავ ჩვენ ბედშაობას,
ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!

ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისათვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!

იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი
მამულისათვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ-იცეს დედამა,
რომ კაცი კაცად ჰკვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს მისგან მოცემულს
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით—
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

თუ ეგრე შენ მოკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი—
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!



„ქართველი ქალი“ ნახ. გაგარინისა.

## წერილი დედას

შორიდან გითვლი მოკითხვას,
ჩემო ძვირფასო დედაო!..
გისურვებ აგსრულებოდეს,
რაც ქვეყნად გენატრებაო!..
დაგიგვიანე წერილი ,
რა ვქნა რომ მერიდებაო.
ნუ შემომწყრები, რა უყოთ
ხანდახან ასე ხდებაო!..
წერილს გიგზავნი. შენ იქნებ,
ჩემზედ ხარ მგლოვიარეო.
აღარ გახარებს დილის მზე,
აღარც პირ-ბადრი მთვარეო.

ზიხარ და გლოვობ „დაღუპულს“,
თვალთაგან ცრემლი გსკდებაო,
გძინავს თუ გღვიძავს, ყოველთვის
სულ შვილი გელანდებაო!..
მე ნუ მიტირებ, გამხნევდი,
გული ნუ გაგიტყდებაო,
მალე ვიხილავთ ერთმანეთს....
თვალს ცრემლი შეგიშრებაო...
ველი მზის ამობრწყინებას
მშობლიურ მიწაზედაო...
მოვალ და გადაგეხვევი,
დაგკოცნი ზედიზედაო!..

დ. არაგველი

## დედას

(ერთი ამონაკვნესი)

მწერდი: „თუ გნახავ ნეტავი ცოცხალს?!
ფრონტზე ხშირია სიკვდილის ნისლი...
ამას გთხოვ, შვილო: იყავი ფრთხილად
და დამიბრუნდი ცოცხალი ისევ!“

ბევრი ვეწამე, დავღვარე სისხლი,
აი ჩამოველ და უკვე ვხედავ:
მე დაგიბრუნდი ბეჩავი, მაგრამ
შენ აღარ დამხვდი, გულთბილო დედავ!..

ლეგ. ტ. ქ.

## დარეჯან ბატონიშვილი

ძლიერმა რუსულმა ტალღამ წალეკა ქართლ-კახეთი. გენერალ ციციანოვის რისხვას გადარჩენილი ბატონიშვილები იმერეთს შეეხიზნენ. რუსეთის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლის, ალექსანდრე ბატონიშვილის მარჯვენა ხელი ფარნაოზ ბატონიშვილი ახლა იმერეთში რაზმავდა ხალხს.

განსაცდელის წინაშე იდგა იმერეთის სამეფო, საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ეს უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. ციციანოვი ამაოდ ცდილობდა ქართლ-კახეთის ხვედრი იმერეთისათვისაც ერგუნებინა. რუსის გენერლები დაწყებული ტორმასოვით, გათავებული ვერაგი და სასტიკი ერმოლოვით, ვერ ელირსნენ იმერეთის დათრგუნვას, მეამბოხე ბატონიშვილების ალაგმვას და დამორჩილებას.

ხალხს ახსოვდა და გულის ფიცარზე ჰქონდა დაწერილი საყვარელი მეფის სოლომონის ტრაპიზუნდში აღთქმული წმინდა ანდერძი და ამ ანდერძით იბრძოდა იგი გაafთრებით რუსეთის წინააღმდეგ. მამულისათვის თავდადებულ ბრძოლაში მამაკაცების გვერდით იდგნენ ქალები, რომლებმაც გმირობისა და თავგანწირვის შესანიშნავი ფურცლები ჩასწერეს ჩვენი ხალხის ისტორიაში. ამ რაინდ ქალებს გულმხურვალედ აღგზნებდნენ ხოლმე მამულის სიყვარული და სამშობლოსათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე მოჰქონდათ ყველაფერი. გმირ ქართველ დედათა დასს ეკუთვნის დარეჯან ბატონიშვილი სოლომონ პირველის ქალიშვილი.

1810 წელს მთავარმართებელმა ტორმასოვმა იმერეთში დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, ხანის ხეობა შეჰკრა, სოლომონ მეფეს ახალციხეში გასვლის საშუალება მოუსპო. მეფის რაზმს ტორმასოვმა ალყა შემოარტყა. ხალხს შურისძიების წყურვილით ავსებდა მეფის მოტყუებით დატყვევება. მისი ერთგულები დაუღალავად მოღვაწეობდნენ, რათა მეფისათვის როგორმე გზა გაეხსნათ. ასეც მოხდა. 1810 წლის 8 მაისს მათ მოახერხეს გაეპარებინათ მეფე და ახალციხეში დიდის ამბით შეეყვანათ. ახლა ახალციხიდან მოისმა მეფის მებრძოლი მოწოდება. იმერეთი კვლავ ძლერმა ღელვამ მოიცვა. ახალი ძალით აზვირთდა შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ, რომლის სათავეშიც დარეჯან ბატონიშვილი ჩადგა.

დარეჯანის მეუღლე ქაიხოსრო აბაშიძე შეთქმულთა შტაბის ხელმძღვანელი ყოველ მხრივ ცდილობდა იმერეთზე მოწოლილი რუსის ჯარი ქუთაისში მდგარ ჯარებს არ შეერთებოდა, მან მრავალი გმირული ბრძოლა გადაიხადა. 25 ივლისს ხელჩართული შეტაკებებისას, როცა ცხრა წყაროს ეკლესიას შეთქმულნი ხელმეორედ ხრთმევდნენ ხელიდან რუსებს მტრის ტყვიით გულგანგმირული დაეცა ქაიხოსრო.

დარეჯანს გულს არ უტეხს ქმრის დაღუპვა. მან კუბოს წინ გადმოღვრილ ცრემლთან ერთად, ბაგრატიონების სამეფო დროშა და მამის ხმალი დაულოცა თავისუფროსს ვაჟს ხახულის. ხახული აგრძელებს მამის მიერ გაჩაღებულ ბროძლას.აფთარი სიმონოვიჩი კარგად გრძნობს ხახული აბაშიძის საშიშროებას, იგი სერიოზული მტერია და უნდა განადგურდეს. ზემო-საქარასთან სიმონოვიჩს მოჰყავს დიდძალი ჯარი, იწყებს შეტევას. ხახულის რაზმი სისხლისაგან იცლება, განახევრდა, ბრძოლა მაინც გრძელდება. და ერთი ძლიერი შეტევის დროს ხახული ვაჟკაცურად დაიღუპა.

ვერც ამან გასტეხა დარეჯანის მებრძოლი სული. მამული განსაცდელშია და გლოვის დრო აღარ არის. მან, ნამდვილმა ქართველმა დედამ, ახლა მომდევნო შვილი სვიმონი გამოიყვანა ბრძოლის ველზე და უფროსი ძმის ბედთარი გადასცაა. დიდი იყო ბრძოლის წყურვილი და ბაგრატიონთა გვირგვინის დიდების აღდგომის სურვილი, მაგრამ ძლიერი და ულმობელი იყო მტერი. რუსის ტყვიამ დააგდებინა ხუჭუჭთმიანი თავი დარეჯანის მეორე ვაჟს... დედას ახლა ერთად-ერთი ვაჟი დარჩა იმედად. ალბად მას გადამწყვეტ ბრძოლისათვის ინახავდა.

საისტორიო წყაროებში აღწერილია დარეჯანი. „აქტებში“ გადმოცემულია მისი სილამაზე, მას ამშვენიერებდნენ ვერცხლისფერი თმები, მაგარამ მებრძოლი სული და მგზნებარება ჭაბუკისა ჰქონდა. რუსის გენერლები თრთოდნენ დარეჯანის ოჯახის ხსენებაზე, ამიტომ იყო, რომ ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ მისი ოჯახის გაჟლეტას.

უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლა. მეფე სტოვებს ხანის წყლის ხეობას. მხეცი ტორმასოვი ზეიმობს. დაიწყო ბატონიშვილების ოჯახების აწიოკება. დარეჯანს ოჯახიდან მხოლოდ ერთად ერთი შვილი დარჩენოდა, თვით ღრმა მოხუცი იყო, მაგრამ ტორმასოვს არაფრად მიაჩნდა მისი თეთრი თმა.

დარეჯანს დაპატიმრებულს ჰგზავნიან თბილისში მთავარმართებელთან, უკანასკნელს საგზაური გამზადებული ჰქონდა. სხვა ბატონიშვილებთან ერთად დარეჯანის ხვედრიც უნდა ყოფილიყო შორეული რუსეთის ცივ მიწაზე სიკვდილი. მთავარმართებელს ამაოდ სთხოვდა ქართული საზოგადოება პატივი დაედო ბატონიშვილის თეთრი თმისათვის, მაგრამ ამაოდ. მას მიუსაჯეს ვორონეჟში გადასახლება; მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო ეს საქმე გადიდო.

განვლეს წლებმა, იმერეთში კვლავ იფეთქა ახალმა აჯანყებამ მისი მედროშე კვლავ დარეჯანია, ახლა უკვე 70 წლის ქალი. ბაგრატიონის დროშას ის თავის უმცროს შვილს ივანეს აძლევს ხელში. მღელვარება ფართო ხასიათს ღებულობს. გენერალმა ერმოლოვმა დაუყოვნებლივ საჭიროდ სცნო შეთქმულების ხელმძღვანელთა დაპატიმრება და გადასახლება. ერმოლოვის ხელითვე იქნა შედგენილი მეამბოხეთა სია, რომლის თავშიც დარეჯანი ეწერა და რომელთაც მღელვარე სული ალბად ყინულოვან რუსეთის მიწაზე უნდა დაელიათ. ამ სიაში იყვნენ სეხნია წულუკიძე, მიტროპოლიტი გენათელი, ივანე აბაშიძე, მდივან ბეგ მიქელაძე და სხვა.

რუსის გენერლებს ეშინოდათ დარეჯანის, რადგან იგი იყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის სულის ჩამდგმელი. პუზირევსკი შეთქმულთა დაპატიმრებისათვის რჩევასაც კი იძლეოდა, რომ თუ ისინი შემოაკვდებოდათ, გვამები მდინარეში ჩაეყარათ, რათა ხალხს არ ენახა და არ აღმსდგარიყო.

დაპატიმრების დღეს, 4 მარტს, შეთქმულები რაინდულად შეხვდნენ რუსებს. ვინ ხანჯლით გაუმასპინძლდა ვერაგებს, ვინ ცხელი ტყვია დაახალა, ივანემ გაქცევა მოახერხა. გააფთრებულმა რუსებმა შეიპყრეს დარეჯანი და მისი 10 წლის შვილიშვილი, რომელნიც პენზაში იქნენ გადასახლებულნი.

პეტერბურგში და მოსკოვში გახიზნული ბატონიშვილები დაუღალავად ილვწოდნენ აქედან გადაეყვანათ დარეჯანი. მათმა მუდარამ გასჭრა. მოხუც დარეჯანს, ფრთაშეკვეცილ დედა-არწივს კვლავ უბედურების ხმებმა დაუცხრილეს დამშვრალი გული. მისი ერთად-ერთი იმედი — ივანე ახალციხეში მოჰკლეს...

სიკვდილის აჩრდილი ადგა თავს დარეჯანს, მისი მღელვარე სული ოცნებობდა მამულში დამარხვაზე; მას სურდა მიბარებოდა იმ მიწას, სადაც განისვენებდა მისი განაწამები ქმარ-შვილი; მან ითხოვა დაებრუნებიათ სამშობლოში... მისი ხვეწნა და ცრემლი ამაო იყო.

1827 წელს, 24 იანვარს დახუჭა მამულის მწუხრითა და ცხელი ცრემლით დათრთვილული თვალნი მხცოვანმა მოხუცმა. მისი მღელვარე სული მიიბარა უცხო მიწამ.

დარეჯან ბატონიშვილი—ჩვენი საამაყო დედების დასის წარმომადგენელია. ასეთი ქალები ამკობდნენ ჩვენს მდიდარ ისტორიას. ასეთი ქალების სახელები კიაფობენ,ჩვენი ხალხის ბრძოლებში მამულისათვის.

ლეგ. ა. თ.

# დედის დღე

დედა, მომავალი თაობის აღმზრდელი უდიდესი პატივით სარგებლობს ახალ გერმანიაში. ქალაქებსა და სოფლებში, მოედნებზე, ბაღჩებში და ყველგან თქვენ ნახავთ მომღიმარე დედებს, ჯანსაღსა და მხიარულ ბავშვებს. ადოლფ ჰიტლერმა მშობლიურ ხალხს მისცა ბედნიერი ცხოვრება, უწმინდესი იდეა, რწმენა უკეთესი მომავლისათვის. მამაკაცის გვერდით ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში დგას ქალი. იგი არის არა მარტო შვილების აღმზრდელი, არამედ მამაკაცის ნამდვილი თანამგზავრი მის ცხოვრებასა და ბრძოლაში.

დედისადმი გულმოდგინე ზრუნვაზე მეტყველობენ ათასეულობით მზიანი სახლები, დასასვენებელი მოედნები, პარკები, საბავშო ბაღები, ნაციონალ-სოციალისტური ღონისძიებანი, მთელი რიგი ორგანიზაციები — რომელთა მიზანია დედის უფლების დაცვა, ჯანსაღი ბავშვების აღზრდა.

ამჟამად როცა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გმირულად იბრძვიან გერმანელი ჯარისკაცები, გერმანელი ქალები, გერმანელი დედები მიუხედავად ომის მძიმე პირობებისა პატიოსნად ეხმარებიან მებრძოლ შვილებს, მამებს, ძმებს... გერმანელი დედა დარწმუნებულია ახალი გერმანიის გამარჯვებაში, ამიტომაა იგი რომ თავდადებით ასრულებს თავის საპატიო მოვალეობას.

გმირულ გამარჯვებებში, რომელსაც ყოველდღიურად აღწევენ გერმანელი ჯარისკაცები წილი უდევთ მათ დედებსაც... 16 მაისი დედის დღეა გერმანიაში. ამ დღეს გერმანელი დედა ხვდება მებრძოლი შვილების გამარჯვების დიადი რწმენით... ყველაფერ ძვირფასს რაც კი გერმანელ დედას გააჩნია იგი აძლევს სამშობლოს...

**ლეგ. ა. ნ.**

### „ჩვენი სიმღერები“

**დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკის სერიის პირველი წიგნი „ჩვენი სიმღერები“. იგი შეიცავს 100 გვერდს და დასურათხატებულია ლეგიონერი მხატვრების მიერ წიგნში მოთავსებულია ლეგიონერი პოეტების ლექსები და პროზაული ნაწარმოებნი.**



არტილერიის პოზიცია ნოვოროსისკის წინ

## 26 მაისის შესახვედრად

ქართული ლეგიონი გაცხოველებით ემზადება ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის — 26 მაისისათვის. ამ დღისათვის გულმოდგინე მზადებაა ყველა დანაყოფში. ლეგიონერები იბრძვიან იმისათვის რათა ზეიმს შეხვდნენ ახალი წარმატებებით საბრძოლო მომზადების საქმეში.

№ ათასეულის მესამე ასეულში (ასმეთაური ლ-ძე) ტარდება საუბრები 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. ლეგიონერმა შ-მ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის“.

ოცეულებში ლეგიონერები სწავლობენ ახალ ქართულ სამწყობრო სიმღერებს. ენერგიულად მუშაობს ლეგიონერთა მომღერალთა გუნდი ლეგიონერი კომპოზიტორის პ. ნ-ლის ხელმძღვანელობით. გუნდი შეასრულებს ქართულ ნაციონალურ სიმღერებსა და ცეკვებს. ფართოდ იქნება წარმოდგენილი ინდივიდუალური შემოქმედება (სოლო, დუეტი, ფანდური და სხვ.). ლეგიონერი მსახიობები დ-ძე და ლ-ძე გამოვლენ დეკლამაციით.

დღესასწაულისათვის ემზადება სპორტიული სექციაც. 26 მაისს გაიმართება ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. მოედანზე მოეწყობა ქართული ჭიდაობა, უმცროს მეთაურთა სკოლა შეასრულებს სხვა და სხვა აკრობატულ ნომრებს. კულტურის ოთახი ზეიმის დღისათვის მოირთვება სურათებით და ყვავილებით.

**ლეგ. რ. ხვამლელი**

## სიმშილი, ავადმყოფობა და სიკვდილი...

გერმანელთა მხარეზე გადმოსულნი მოგვითხრობენ იმ საშინელებათა შესახებ, რომლებიც ბოლშევიკებმა მოიტანეს როსტოვში შემოსვლისთანავე. გერმანიის ჯარების წამოსვლის შემდეგ 23 და 24 თებერვალს ბოლშევიკებმა განსაკუთრებული ბრძანების საფუძველზე ყველა ქალი და ქალიშვილი დაწყებული 15 — 50 წლამდე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.

ისინი ვალდებულნი არიან იმუშაონ არა მარტო სამხედრო საწარმოებში არამედ უნდა გაიარონ მოსამზადებელი [illegible] რეგულიარულ სამხედრო სამსახურისათვის. ქალების დიდი [illegible] გაიგზავნა ჭაობის შიგნით.

ბოლშევიკური ჯოჯოხეთიდან გამოქცეულნი გადმოგვცემენ იმ საშინელ სურათებს, როცა ქალები ქვითინითა და გოდებით ემშვიდობებოდნენ თავიანთ მცირეწლოვან ბავშვებს. დედებს მიერეკებოდნენ, ბავშვები სტიროდნენ... ისმენთ მათ ნაამბობს და თქვენს თვალწინ გაიქროლებენ დედების მწუხარე სახენი, საბარგო ვაგონები, ნელი ტემპით მოძრავი ეშელონები, ჩალამებული ბარაკები, ნესტიანი მიწურები, ცინგა, სიმშილი, ავადმყოფობა და სიკვდილი...



ჩრდილოეთის ფრონტზე. შესვენება



სანგარში

# „დედა და ბავშვი“

„ყოველი ადამიანი ვინც დედისა და ბავშვის დაცვისათვის ზრუნავს არის გმირი ცხოვრების ბრძოლისა“ ადოლფ ჰიტლერის ეს სიტყვები უდევს საფუძვლად ნაციონალ - სოციალისტურ საქველმოქმედო ორგანიზაციას „დედა და ბავშვი“. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავს დედისა და ბავშვის დაცვას, მას მოწყობილი აქვს დამხმარე პუნქტების ვებერთელა ქსელი, რომელიც როგორც საექიმო ისე მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალებს. პუნქტები რჩევა-დარიგებას აძლევენ ქალებს შრომის, დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებზე, აბინავებენ მშობიარე ქალებს სამშობიარო სახლებში, სცემენ მატერიალურ დახმარებას. „დედა და ბავშვი“ ზრუნავს აგრეთვე გაუთხოვარ დედებზედაც.

„დედა და ბავშვის“ მთავარი ღონისძიებაა დასვენების ორგანიზაცია. დედებისათვის რომლებიც დროებით თავისუფალნი არიან საოჯახო საქმისაგან მოწყობილია ე. წ. სპეციალური „დედათა დასასვენებელი სახლები“, ხოლო მათთვის ვისაც ოჯახი არ აძლევს ამის საშუალებას ადგილზევე ეწყობა დასვენება - გართობა. გერმანიაში არსებობენ აგრეთვე „დედა და ბავშვთა“ სახლები რომლებშიაც ღებულობენ დედებსა და ძუძუ მწოვარა ბავშვებს. ორგანიზაციის ჩამოყალიბებიდან ერთნახევარი წლის მანძილზე ამ სახლებში დაისვენა 175 ათასმა დედამ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედისათვის დახმარებას ბინაზევე. დედის დასვენების დროს მის ოჯახსა და ბავშვებს უვლიან გამოცდილი და კეთილსინდისიერი ადამიანები. დედასთან ერთად ისვენებენ ბავშვებიც. ამისათვის მოწყობილია საბავშო ბაგები და თავშესაფარები ახალ დაბადებულთათვის, სოფლად არის საბავშო ბაღები, რომელთაც ზედამხედველობენ გამოცდილი აღმზრდელი ქალები.

„დედა და ბავშვი“ ხელმძღვანელობს ბავშვთა გამაჯანსაღებელ მუშაობას; ანაწილებს ბავშვებს სოფლებში, აქ ისინი იძენენ ახალ ძალასა და ენერგიას, ეცნობიან ქალაქისა და სოფლის ურთიერთობას, სოფლის ცხოვრებას, მებოსტნეობას, სასოფლო -სამეურნეო სამუშაოებს. მთებში, ზღვის პირად და წარმტაც ადგილებში აგებულია ბავშვთა დასასვენებელი სახლები. ამ სახლებში დაისვენა და ჯამრთელობა გამოაწრთო 2 მილიონ ნახევარზე მეტმა ბავშვმა. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დასასვენებელმა სახლებმა მომსახურება გაუწიეს 66 ათასს უცხოელ გერმანელ ბავშვს, რომლებიც გაეცნენ გერმანიასა და შეიყვარეს მისი ცხოვრება.

ამ ღონისძიებათა შედეგად იკლებს ბავშვთა სიკვდილიანობა, 1940 წელს იგი დაეცა 6 პროცენტამდე. გერმანელი ხალხის თავისუფალი შემოწირულების სახით გაღებული სახსრებით შენარჩუნებული იქნა 235 ათასი ძუძუმწოვარი ბავშვის სიცოცხლე. 1933 წლიდან 1939 წლამდე დედათა დასასვენებელ სახლში დაისვენა 400 ათასმა დედამ, სოფლად დასასვენებლად გაიგზავნა 2 მილიონზე მეტი ბავშვი, 80 ათასზე მეტმა ბავშვმა მიიღო საექიმო და სამკურნალო დახმარება წამლებით ამ ორგანიზაციისაგან.

„დედა და ბავშვის“ მოღვაწეობის ფართო მასშტაბზე ლაპარაკობს მოსამსახურე აპარატის სიდიდე. 1939 წლის ბოლოს მის განკარგულებაში იყო 25 ათასი ფასიანი და 3000 უფასო ბავშვთან მომუშავე სპეციალური განათლება მიღებული აღმზრდელი ქალი. მათ შორის: 1600 გამდელია, 7600 საბავშო ბაღის გამგე, 500 — აღმზრდელი და ა. შ.

ამ ორგანიზაციას ნაციონალ - სოციალისტურ გერმანიაში უდიდესი მზრუნველობით ეკიდებიან, იგი დგას, როგორც ამბობენ „გერმანიის ხალხის ცხოვრების ავანგარდში“. ასე ზრუნავს ნაციონალ - სოციალისტური პარტია დედაზე და ბავშვზე, ამიტომაა გერმანელი ბავშვი ჯანსაღი და მხნე.

**ლეგ. ი. ნ.**

# სიმართლე კატინის შესახებ

ევროპის ცნობილი 12 უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერნი, სამოსამართლო მედიცინის გამოჩენილი წარმომადგენლები, გერმანიის მთავრობის მიწვევით გაემგზავრენ კატინში ბოლშევიკების მიერ მხეცურად დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების საფლავების შესასწავლად. კომისიამ სამი დღე დაჰყო კატინში, გულდასმით გამოარკვია ყველაფერი და შეადგინა სათანადო ოქმი. გამორკვევამ მთლიანად დაადასტურა დღემდე არსებული ყველა წინასწარი ცნობა ბოლშევიკებისა და მათი სისხლიანი აგენტების, შინსახკომის ჯალათთა მიერ ჩადენილი ვერაგობის შესახებ. მასობრივი დახვრეტის თვითეული მსხვერპლი, როგორც ეს აღნიშნულია ოქმში, მოკლულია შინსახკომისათვის ჩვეული „მეთოდით" კეფაში — სროლით.

## კომისიის შემადგენლობა

კატინის საფლავების შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ევროპის მოწინავე მეცნიერები, სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის სპეციალისტები, გამოჩენილი პროფესორები. კომისიამ აწარმოვა საკვლევაძიებო მუშაობა 28-30 აპრილის განმავლობაში.

კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ: 1. **ბელგიიდან:** დოქტორი **შპელერსი,** გენტის უნივერსიტეტის პროფესორი, 2. **ბულგარეთიდან:** დოქტორი **მარკოვი,** სოფიას უნივერსიტეტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ორდინარული დოცენტი, 3. **დანიიდან:** დოქტორი **ტრამზენი,** კოპენჰაგენის სამოსამართლო მედიცინის ინსტიტუტის პრორექტორი, 4. **ფინეთიდან:** დოქტორი საქსენი, ჰელსინკის უნივერსიტეტის პათალოგიური ანატომიის ორდინარული პროფესორი, 5. **იტალიიდან:** დოქტორი **პალმიერი,** ნეაპოლის უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორი, 6. **ხორვატიიდან:** დოქტორი **მილოსლავიჩი,** აგრამის უნივერსიტეტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ორდინარული პროფესორი, 7. **ჰოლანდიიდან: დოქტორი დე ბურლე,** გრონიგენის უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორი, 8. **ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატიდან:** დოქტორი **ხაიეკი,** პრაღის უნივერსიტეტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ორდინარული პროფესორი, 9. **რუმინეთიდან:** დოქტორი **ბირკლე,** რუმინეთის იუსტიციის სამინისტროს სამოსამართლო მედიცინის ექსპერტი, ბუქარესტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ინსტიტუტის პირველი ასისტენტი, 10. **შვეიცარიიდან::** დოქტორი **ნევილი,** ჟენევის უნივერსიტეტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ორდინარული პროფესორი, 11. **სლოვაკიიდან:** დოქტორი **სუზიკი,** პრესბურგის უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის პროფესორი, სლოვაკიის ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელი, 12. **უნგრეთიდან:** დოქტორი **ორსოსი,** ბუდაპესტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ორდინარული პროფესორი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის რწმუნებით კომისიის მუშაობას მეთაურობდა ბრესლავის უნივერსიტეტის სამოსამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის ორდინარული პროფესორი დოქტორი **ბუცი.** კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საფრანგეთის მთავრობისწარმომადგენელი მედიცინის ინსპექტორი **კოსტედო.**

## სიმართლე კატინის შესახებ.

კომისიამ დაჰკითხა რამდენიმე რუსს მოქალაქეს, რომლებიც მოწმენი იყვნენ კატინის საშინელებისა, მათ დაადასტურეს, რომ 1940 წლის მარტსა და აპრილში სადგურ გნეზდოვოში, კატინის ახლოს, იტვირთებოდა მატარებლები სავსენი პოლონელი ოფიცრებით. საპატიმრო ავტომანქანებით მათ ჰგზავნიდნენ კატინის ტყეში, რომლებიც შემდეგ არავის უნახავს. გათხრების შედეგად კომისია გაეცნო დოკუმენტებს. 1943 წლის 30 აპრილამდე აღმოჩენილი იყო 982 გვამი, დაახლოებით 70 პროცენტამდე დაუყოვნებლივ იქნა ამოცნობილი. დღემდე გათხრილია ძმათა 7 სასაფლაო, მათ შორის ყველაზე დიდი შეიცავს 2.500 გვამს. კომისიის წევრებმა თვით გახსნეს 9 სასაფლაო და გასინჯეს დიდი რაოდენობა.

ყველა მათგანი მოკლულია კეფაში სროლით, ზოგიერთ შემთხვევაში ნასროლია ორჯერ. ერთ გვამს სამჯერ აქვს ნასროლი. დახვრეტა სწარმოებულია რევოლვერის ტყვიით, რომლის კალიბრი 8 მილიმეტრზე ნაკლებია. თავის ქალის განკვეთისა და ძვლებზე დარჩენილი დენთის ბოლის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სროლა სწარმოებდა ახლო მანძილიდან ამას ადასტურებს ტყვიის ერთგვაროვანი მიმართულება.

დახვრეტა უწარმოებია კვალიფიცურ ჯალათს. მრავალ გვამს ხელი შეკრული ჰქონდა, ზოგიერთს აჩნია ხიშტით ნაჩხვლეტი.

გვამები ისე იყო დალაგებული, როგორც წინად კატინის მახლობლად აღმოჩენილი რუსების გვამები. დადასტურებულია ისიც, რომ გასროლები ნაწარმოებია ისევე, როგორც რუსების დახვრეტისას.

ერთი ოფიცრის გვამის გასინჯვისას აღმოჩნდა ტყვიის კვალი—განაკაწრი ძვლის ზედა ნაწილზე; ამ გასროლით, როგორცა სჩანს, მოკლულია სხვა ოფიცერი, მაგრამ ტყვია, გავიდა რა მისი სხეულიდან, მოხვდა მკვდარ ოფიცერს. ძმათა სასაფლაოები იმყოფებიან მინდვრად, თითქმის გასწორებულნი არიან მიწის ზედაპირთან. სასაფლაოებზე ამოსულნი არიან ხუთწლიანი ფიჭვის ხეები, რომლებიც გადაურგავთ ამ ადგილს სამი წლის წინად. სასაფლაოები განლაგებულია საფეხურისებურად „ბორცვებიან ქვიშრობზე".

გვამები აწყვია პირუკუ ახლოს ერთმანეთთან, განაპირად ისინი აწყვიან რიგით, შუაში — უწესრიგოდ, ფეხები ყველა მათგანს გამართული აქვს. როგორც სჩანს, გვამები სისტემატიურად ლაგდებოდა. ტანსაცმელის ფორმის მიხედვით (ღილები, ნიშნები და სხვ.), შეიძლება დავასკვნათ, რომ გვამები პოლონელები არიან. ხშირად გვხვდებიან ტყავისა ან ბეწვის ჩასაცმელები, პოლონეთის ოფიცრების ქუდები და სხვ. გვამებს შორის არის ერთი სასულიერო პირი. ქვედა საცვლები გვამებზე კარგადაა მორიგებული, სარტყლებიც მორიგებულია. ეს ადასტურებს იმას, რომ გვამები ჩალაგებულია საფლავში ისევე, როგორც ისინი იყვნენ ჩაცმულნი უკანასკნელ მომენტამდე.

გვამებში არ არის აღმოჩენილი საათები, ბეჭდები, ოქროს ნივთები შენახული აღმოაჩნდათ ზოგიერთებს, დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი პოლონური ბანკნოტები, არის პოლონური ლითონის ფულიც. გვხვდება თამბაქოს კოლოფები და მუნდშტუკებიც, რომლებზედაც ამოჭრილია წარწერა „კოზელსკი" (უკანასკნელი ბანაკის სახელწოდება, სადაც იმყოფებოდნენ მსხვერპლნი).

მრავალ გვამს აღმოაჩნდა დოკუმენტი: (დღიური, წერილები, გაზეთები), დათარიღებული 1939 წლის შემოდგომის სხვა და სხვა დღეებით; უკანასკნელი თარიღი არის 1940 წლის აპრილი. ამჟამად დადასტურებული უკანასკნელი თარიღია რუსული გაზეთის თარიღი 22 აპრილი 1940 წელი.

გვამების ხრწნადობა სხვა და სხვა გვარისაა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყვნენ ისინი განლაგებულნი საფლავში. ზოგიერთი გვამი დიდი დაწოლის გამო გადაქცეულია დეფორმირებულ მასსად. მთელ რიგ თავისქალებზე აღნიშნულია დეფორმაცია, რაც მიგვითითებს სიკვდილის დროზე. ასეთი დეფორმაცია შეიძლება განიცადონ იმ გვამებმა, რომლებიც არა ნაკლებ 3 წელი იმყოფება საფლავში.

## საერთო შედეგი

**კომისიის მიერ კატინის ტყეში არსებულ პოლონელი ოფიცრების ძმათა სასაფლაოებიდან გამორკვეულია 7, შესწავლილია 982 გვამი. გვამების 70 პროცენტი გამოცნობილია. სიკვდილის მიზეზი არის ტყვიით ნასროლი კეფაში. გვამებში ნაპოვნი დოკუმენტებიდან (წერილები, დღიურები, გაზეთები და სხვ.) ცხადია, რომ დახვრეტა მომხდარა 1940 წლის მარტსა და აპრილში. ამას ადასტურებს გათხრები და ცალკეული გვამები, მოხსენებულნი ზემოდ ნაჩვენებ ოქმში.**

სმოლენსკი, 5 მაისი, 1943 წელი.

საკუთარი ხელით მოწერილია: **დ-რი შპელერსი, დ-რი მარკოვი, დ-რი ტრამზენი, დ-რი მაგლიერი, დ-რი საკსენი, დ-რი მილოსლავიჩი, დ-რი დებურლე, დ-რი ხაიეკი და სხვა.**



კატინის გმირი — ნახ. ლეგ. ა. თ.

## კატინი და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

საბჭოთა კავშირის საგარეო საქ-მეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ვიშინსკიმ 6 მაისს ინგლის-ამერიკული პრესის წარმომადგენლებს კუიბიშევში გააცნო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ.

ვიშინსკის ოდნავადაც არ შერცხვა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1941 წლის ბოლოს შექმნილი იყო პოლონეთის არმია, რომელიც ითვლიდა 2630 ოფიცერს და96 ათას ჯარისკაცს. მაგრამ ვინაიდან სიკორსკი არ დასთანხმდა ამ ნაწილებს ებრძოლათ საბჭოთა სარდლობის მეთაურობით, საბჭოთა მთავრობამ ვიშინსკის განცხადებით უარი სთქვა მიეცა სურსათ-სანოვაგე პოლონეთის არმიის ნახევრისათვის. არმიის ნაწილი შემდეგ გადაგზავნილი იქნა ირანში.

ვიშინსკიმ არაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია პოლონელ მშვიდობიან მოსახლეობას, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმოფებოდა ევაკუირებამდე. ეს „არამნიშვნელოვანი" რაოდენობა პოლონელებისა პოლონეთის მთავრობის მიერ გათვალისწინებული იყო მილიონ-ნახევარ კაცამდე.

სამაგიეროდ ვიშინსკიმ აღიარა, რომ პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ კონტაქტის დამყარებას თავიანთ თანამემამულეებთან, „ჯაშუშთა სახით იქნენ გასამართლებულნი საბჭოთა მართმსაჯულების მიერ ან და გადასახლებულნი სსრ კავშირიდან". ამ ჯაშუშთა რიცხვში იყვნენ ელჩი რომერი, გენერალი ვოლკოვსკი დასხ. პოლონეთის ეს წარმომადგენლები, ვიშინსკის სიტყვით „აფერხებდნენ შეთანხმების საქმეს საბჭოთა კავშირთან და გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას ბოლშევიკური სტუმართმოყვარეობის გამო".

„იუნაიტედ პრესის" ცნობით ვიშინსკის განცხადებამ ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში გამოიწვია ძლიერი უარყოფითი რეაქცია.

## ტიმოშენკოს ფურცლები

როგორც გამოირკვა, 1939 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირის მიერ გალიციაში ჩამოყრილი იყო ფურცლები, რომლებშიაც ბოლშევიკები პოლონეთის ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, რათა მოეკლათ თავიანთი ოფიცრები და შეერთებოდნენ წითელ არმიას.

ეს ბოლშევიკური მოგზავნა, რომელსაც სიტყვა-სიტყვით ბეჭდავს პოლონეთის გაზეთი საგენერალ-გუბერნატოროში, ხელმოწერილი იყო საბჭოთა მარშლის ტიმოშენკოს მიერ, რომელიც მაშინ იყო ბოლშევიკური არმიის სარდალი უკრაინაში. აქედან ცხადია, რომ მოსკოვს იმ დროსაც ჰქონდა პოლონეთის ოფიცრების მოკვლის გეგმა და ცდილობდა კომინტერნის საყვარელი მეთოდით გამოეწვია მეზობელი ხალხის არმიაში აჯანყება. რამოდენიმე თვის შემდეგ შინსახკომის ჯალათებს მიეცათ შესაძლებლობა სისრულეში მოეყვანათ თავიანთი მიზანი პოლონეთის სამხედრო ტყვეების მიმართ, რისი შედეგიც არის კატინის საშინელებანი.



ალმოსავლეთის ფრონტზე.
მტრის დაზვერვა

ლუგ. ვ. ურდოელი.

# თამარ-მეფე

თამარ-მეფე ვის არ ახსოვს,
მამულს მოხსნა მწუხრის თალხი,
მის სიტურფეს ოქროდ ნაქსოვს
შეინახავს ყველა ხალხი!..
საქართველოს ყველა მტერი
მის წინ თავის დროშას ხრიდა,
სანახავად... თამარ-მეფის
მოდიოდნენ ყოველ მხრიდან!..
კეთილს ხალხი უმადლოდა,
ვარდს მოგავდა. გაშლილ მზეში,
მას სიყვარულს უგალობდა
დიდებული შოთას ლექსი!..
ბანზე უსხდა იადონი,
ზღვა უბანდა ტრფობით მას ხელს,
მთის ჩანჩქრები და წყარონი
უგრილებდნენ ოქროს სახეს!..

ყვავილებში იზრდებოდა
მისი გულის ჩუმი ძგერა,
ქართლის მზეში იშლებოდა
საქართველოს ბედისწერა!..
ქარს მიჰქონდა კიდით-კიდე,
რასაც კეთილ გულით ჰქსოვდა,
ყოველ ურჩს და გადამკიდეს
თავის მტკიცე ხელით სპობდა!..
თამარ დროშად გვეყოლება...
მანათობლად მისივ სული,
მას ვერავინ ეტოლება,
იგი არის ჩვენი გული;
იგი ჩვენი სიხარული
და სიცოცხლის მზეა დიდი,
საქართველოს სინანული,
საქართველოს ყოფნა მშვიდი!..

# აღმოსავლეთის ფრონტზე

უკანასკნელი დღეები აღმოსავლეთის ფრონტზე აღინიშნა ბოლშევიკების თვითმფრინავთა დიდი დანაკარგებით. ყუბანში გერმანია - რუმინეთის ჯარები დიდი შესვენებით აწარმოებდენ წარმატებით თავდაცვით ბრძოლებს, მტერმა განიცადა აურაცხელი ზარალი. ამავე დროს აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბნებზე ბოლშევიკებმა დაიწყეს მსხვილი საავიაციო ძალებით მასობრივი შეტევები გერმანელთა პოზიციებზე. ამ საჰაერო ოპერაციების მიზანი მთლიანად არ არის გამორკვეული. (თუმცა ამ მომენტში ბოლშევიკებს არ შეუძლიანთ ეს ჩასთვალონ მოსამზადებელ ოპერაციებად ქვეითა ჯარისათვის). ერთი კი ნათელია, რომ ეს მორიგი ავანტურა ძალზე ძვირად დაუჯდათ მის მომწყობთა ინიციატორებს.

ყველგან იყო გამომჟღავნებული გერმანიის ავიაციისა და საზენიტო არტილერიის უპირატესობა. 40 საათის განმავლობაში ჩამოგდებული იქნა 230 საბჭოთა თვითმფრინავი გერმანელთა მხრივ მინიმალური დანაკარგის პირობებში. მტრის საავიაციო შენაერთის 100 ყუმბარმზიდიდან რომელთაც აცილებდათ გამანადგურებლები ორიოლთან ჩამოგდებული იქნა 43 თვითმფრინავი, გერმანელებმა თავის მხრივ დაჰკარგეს 4 თვითმფრინავი.

ფრონტის სხვა უბანზე 40 თვითმფრინავიდან ჩამოგდებულია 32. ამ ასტრონომიული დანაკარგების შედეგად ბოლშევიკები ფრონტზე ისვროდნენ ყოველდღიურად ნაკლები და ნაკლები რაოდენობის თვითმფრინავებს ვიდრე წარსულ კვირას.



ყუმბარების მიღება ფრონტზე

# გასართობი

## სვლა ცხენისაა.

| | | | |
|---|---|---|---|
| შ | ჰმარ | ხვე | და |
| სი | მო | რ | თებს |
| რფე | მართ | ყმე | უ |
| ცა | სი | ტუ | ვი |
| | თა | ლე | |
| ო | სი | დრე | მზე |
| დი | სი | ჯნუ | ლად |
| რსა | ბა | ო | ბძნე |
| ბა | სიმ | თვა | მი |

ამ 34 კვადრატში განლაგებული მარცვლები და ასოები დაფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე, რომ მიიღოთ მიჯნურის მოვალეობა „ვეფხის ტყაოსნის" მიხედვით.

## შეადგინეთ სიტყვები №8

ქვემოდ მოთავსებული მარცვლებისა და ასოებისაგან:

ა ა ბა ბრა ბურ გრა გი გო გო ო ე ხა ნი ნი ნი ნი ლი ლი ლი თლე პლა პლი მის რი რემ რე რუ ი ი ჰამ პა პი პუ პერ ზა კი კო კობ ხუ ცე სი სი სე ფი ტი ტი ტი თი თლე ჭონ ძე.

შეადგინეთ სიტყვები შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. ქალაქი გერმანიაში, 2. არხი ამერიკაში, 3. რა აქვს ეკლესიას?, 4. ავტორი პირველი ქართული ნაწარმოებისა, 5. გარეული ცხოველი, 6. კუნძულები ინდოეთის ოკეანეში, 7. ქვეყანა რომელიც ევროპასა და აზიაში მდებარეობს, 8. „სურამის ციხის" ავტორი, 9. ქართველი სარდალი რომელიც დაიღუპა ნაპოლეონის წინაალმდეგ ბრძოლაში, 10. რა ვრცელდება ყველაზე სწრაფად სივრცეში, 11. „რკინის ფრინველი", 12. ჰოლანდიელი მხატვარი, 13. „ტარას ბულბას" ავტორი. 14. პლანეტა, 15. ქონდრის კაცი.

## გაზ. „საქართველოს" №18 მოთავსებული ამოცანების ახსნა.

### ცხენის სვლა.

„ბაგრატიონთ გვარის კაცსა
ირმის ძუძუ უწოვია,
ჰალაში გადაგდებული
მონადირეს უპოვნია".

### შეადგინეთ სიტყვები №7

1. თალესი, 2. რიჩარდსონი, 3. ჰამურაბი, 4. სახნისი, 5. პოეზია, 6. ყვარელი, 7. „ტიგრ", 8. რიხტერი, 9. „დიფუ", 10. ნადირობა, 11. მარჯანიშვილი, 12. პრუსია, 13. ხილი, 14. ფუთი, 15. ამირანი.

# მწერალთა ბედი საბჭოთა საქართველოში *)

შემდეგში კი თვით ეს კრიტიკოსები გასწორდნენ შინსახკომში, რადგან მათ დაამახინჯეს ლენინ-სტალინური მოძღვრება კლასიკოსების ათვისების საქმეში!!

ყველაზე დიდი შევიწროება ილია ჭავჭავაძეს ხვდა წილად. 1907 წელს მისი სისხლით შეღებეს წიწამურის ველი, შემდგომ სამარეშიაც არ მოასვენეს იგი და მთელი განგაში ასტეხეს მარქსისტებმა, განსაკუთრებით ფ. მახარაძემ და პ. გელეიშვილმა (ყარიბი, ეს უკანასკნელი შინსახკომის კულისებში გაჰქრა 4 წელია). რიგი წლების მანძილზე საბჭოთა მთავრობამ აკრძალა ილიას ნაწერების კითხვა, მისი ნაშრომები ამოღებულ იქნა ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავებიდან, ხოლო კომკავშირელი მწერალი ფ. ნაროუშვილი (შემდეგ დატუსაღებული — გარდაიცვალა საპყრობილეში) ილიას წმინდა საფლავს ლეშს უწოდებდა.

„ჩვენი ეგნატე, მათი ილია", „და მთაწმინდაზე იხრწნება... ილიას ლეში" და სხვა. ეს ცინიზმი ოფიციალურად იყო დაკანონებული ჩვენს სინამდვილეში. 1932/33 წელს მოხდა სასწაული: „მშობლიურმა" სტალინმა მოწყალების თვალით გადმოხედა ჩვენს ხალხს, მწერლობას და მალაქია ტოროშელიძეს (მაშინ საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს, ქართული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორს; ძველი კომუნისტი — შემდეგ დახვრეტილი) დაავალა ილიას მკვდრეთიდ აღდგენა მწერალთა საკავშირო ყრილობაზე წარსადგენად. მახარაძე სდუმდა, მალაქია ტოროშელიძემ ვერ განანათლა ილია, როგორც საჭირო იყო, ძველი ცოდვებისაგან ვერ განთავისუფლდა იგი. შემდეგ კორექტივები შეიტანეს და თავად-აზნაურთა და წვრილბურჟუაზიული მწერალი „ნაციონალ—რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულარულ მოღვაწედ" იქნა აღიარებული. ბერიასა და მახარაძის შუა რაღაც (?) კინკლაობა ატყდა; (მახარაძე ბოლოს მაინც პოლიტიკურ არარაობას წარმოადგენდა). საჭირო შეიქნა ანგარიშის გასწორება, „ბელადს" მოეხსენებოდა მისი „ნამოღვაწევი" ილიასადმი და გასაოცრად ჩვენი ერისა, დაიწყო ილიას მკვლელისა და მკვლელობის ძიება. როგორც ბოლშევიკებს სჩვევიათ, პირველად ილიას მკვლელობა მეფის თვითმყრობელურ რუსეთს გადააბრალეს, თუმცა ეს შავ-ბნელი აქტი ცნობილი იყო. ერთმა თეატრალურმა მოღვაწემ იპოვნა ხელნაწერი მემუარები ილიას მკვლელობის შესახებ, რომელშიაც აშკარად მხილებული იყო მახარაძე, ვითარცა მთავარი აქტიორი ამ ამბისა. ეს მემუარები საოცარის ოსტატობით გაჰქრა შინსახკომის სიბნელეში. ასეთივე ცნობები არის დაცული ია ეკალაძის მოგონებებში, რომელიც მარქს-ენგელს-ლენინის სახ. ინსტიტუტის არქივში ინახებოდა, თბილისში. გარდა ამ ცნობებისა, ცნობილი იყო რომ 1907 წ. სურამში მოწვეულ იქნა თათბირი მახარაძის აქტიურობით და გადასწყვიტეს ილიას მოკვლა, რაც სისრულეში მოიყვანეს ჯაშის, ბერბერაშვილისა და სხვა მოსყიდული ელემენტების საშუალებით. შემდეგ მახარაძე ძლიერ გაიზარდა, მან შეცდომა დაუშვა „მამისა" და პავლოვიჩის წინაშე, ალბათ, ამიტომ 1941 წ. შემოდგომიდან შეუდგნენ სამზადისს ილიას მკვლელთა გასამართლებისას. ბერბერაშვილი იპოვეს (იგი მოკალათებული იყო პარტიაში და ხანდახან იკვეხნიდა კიდეც ილიას მკვლელობას, ამბობენ, ამ გზითაც გამომჟღავნდა მახარაძის წმინდა საქმიანობაო). და 1942 წ. გაზაფხულზე „გასამართლება" ბოლშევიკური კონსპირაციით იქნა ჩატარებული, მკვლელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, იმ დღეებში მახარაძე გარდაიცვალა უეცრად, ხოლო სათანადო წრეებში თბილისის მოწინავე საზოგადოებაში, ხმა გავრცელდა: ფილიპემ თავი მოიკლაო (ნაცადი ხერხი ბოლშევიკებისა).

ქართული კულტურის პატივსაცემად ის ფაქტიც კარგად ლაღადებს, რომ ბარათაშვილისა და ვაჟას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდას გადაასვენეს, მათ თავი მოუყარეს და გვერდით, ახლოს ბელადის ცხედარიც მიუსვენეს, ხოლო დიდუბის პანთეონი გააპარტახეს (ალბად კულტურის ბაღს გააშენებდნენ იქაც).

უახლოესი მწერლებიდან პირველი მსხვერპლი სახელოვანმა მწერალმა გრ. რობაქიძემ გაიგო. იგი ვერ ჩაითრიეს ბოლშევიკებმა, ბედნიერი შემთხვევისა გამო გაუსხლტა შინსახკომის კლანჭებს და თავი შეაფარა დიდ გერმანიას, სადაც მუშაობას განაგრძობდა ჩვენი ხალხის სასახელოდ და საბედნიეროდ. სამაგიეროდ „მზრუნველებმა" ჯავრი მის შემოქმედებაზე იყარეს, მისი ყველა ნაწარმოები გაძევებულ იქნა წიგნთსაცავებიდან, კერძო ბინებიდან, დრამატიული ნაწარმოები — თეატრიდან და ცეცხლს მისცეს ჩვენი დროის იეზუიტებმა. „ლონდასა" და „გველის პერანგის" სახელოვან ავტორს ესეც არ აკმარეს და დაიწყო გამძაფრებული კამპანია მისი პიროვნებისა და ლიტერატურული თანამებრძოლების წინააღმდეგ. ეს კამპანია გრ. მუშიშვილის (ხოფერია, ცეკას მუშაკი — შემდგომ დახვრიტეს) უნიჭო წიგნით: „გველის პერანგოსანით" დაამთავრეს. ერთ ხანად თბილისის ინტელიგენციაში ხმა გავრცელდა გრიგოლ რობაქიძის უკვალოდ დაკარგვის შესახებ, და ისიც, რომ ამის მომწყობი თითქოს დ. კანდელაკი (ყოფილი საქართველოს განსახკომი, შემდეგ გერმანიაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი — გაჰქრა შინსახკომის მოღვაწეობის გამო.) იყო.

1936 წელს საბჭოთა კავშირში მორიგი ბართოლომეს ღამე მზადდებოდა. ეკონომიურად და პოლიტიკურად ილაჯგაწყვეტილი ხალხი ახალი მსხვერპლის წინაშე დგებოდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ლევ. ე-სი

* იხ. გაზ. „საქართველო" № 19 (46)

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე
წერილები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 2a

ქართული სტამბა. ბერლინი.
Deutscher Verlag, Berlin.

# ბედნიერი დედობა



1.ბესარაბიიდან გადმოყვანილ გერმანელთათვის გერმანიაში მოსვლისთანავე მოეწყო საბავშვო ბაღები, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ.



2. თვეში ერთხელ „დედათა სახლის“ წინ ექიმი ამოწმებს გლეხი ქალების ბავშვების ჯანმრთელობას.

ეს სურათები გადმოგვცემენ ბესარაბიიდან გადმოსული გერმანელი დედებისა და ბავშვების ცხოვრებას. ისინი ნათლად გამოჰხატავენ იმ გულმოდგინე მზრუნველობას, რომელსაც ნაციონალ-სოციალისტური გერმანია იჩენს დედისა და ბავშვის მიმართ. დედობა გერმანიაში ყველაზე საპატიო და საამაყო მოვალეობაა.



3. ექიმი აგრეთვე რეგულარულად ნახულობს ბავშვებს ადგილზე.



4. ეს ბავშვი გადმოსვლის დროს დაიბადა. „წითელი ჯვრის“ და გულმოდგინედ ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე.



5. სადაც კი საჭიროა დახმარება— იქ არის მოწყალების და.



6. საბავშვო სახლებში ბავშვები იზრდებიან ლაღად, სწავლობენ მხიარულ სიმღერებს, ეჩვევიან სისუფთავესა და წესრიგს.



7. დედათასაბჭოს წევრი ქალები განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობენ პატარებში.